

## მობილობა და შიდა მობილობა

### ❖ მობილობა

- სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში (ბხსუ) სტუდენტთა მობილობის პროცესი ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.  
იხ. [http://batu.edu.ge/text\\_files/ge\\_file\\_301\\_1.pdf](http://batu.edu.ge/text_files/ge_file_301_1.pdf)
- სტუდენტების მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ - **შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებში**. (კონკრეტული ვადები დგინდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით).
- მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი. თუ დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება, სტუდენტს მობილობის უფლება წარმოეშობა სწავლის პერიოდის ხანგრძლივობის მიუხედავად .
- მობილობისა და შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.
- სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი სტუდენტი ვალდებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე ([students.emis.ge](http://students.emis.ge)) გაიაროს რეგისტრაცია. რეგისტრაციის მონაცემები ძალაში შედის მხოლოდ მობილობის საფასურის გადახდის შემდეგ. ამ საფასურის ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე გადაუხდელობის შემთხვევაში სტუდენტი ვერ მოიპოვებს მობილობის მსურველის სტატუსს. მობილობის საფასური შეადგენს – 40 ლარს. საფასური გადაიხდება მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადის განმავლობაში, უნაღდო ანგარიშსწორებით სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ანგარიშსწორების ანგარიშზე შეტანის გზით.
- პირი, რომელმაც გამოთქვა სურვილი სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე, ვალდებულია შეამოწმოს ელექტრონულ პორტალზე მობილობის შედეგი და დადებითი პასუხის შემთხვევაში, უფლებამოსილია, განცხადებით მოგვმართოს ჩარიცხვის თაობაზე. სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან გადმოსვლის მსურველებმა ბხსუ-ს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტში (ქ.ბათუმი, ზ.გორგილამის/ვაჟა-ფშაველას ქ. №19/32, ოთახი №105) უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:
  - განცხადება (განცხადება ივსება ადგილზე);
  - პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

- სრული ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/აკადემიური ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ;
- საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანების დამოწმებული ასლი;
- უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ( ასეთის არსებობის შემთხვევაში).

✚ მობილობის მსურველი, რომელიც დაწესებულების მიერ დადგენილ ვადაში არ მიმართავს განცხადებით მიმღებ დაწესებულებას ჩარიცხვის თაობაზე, კარგავს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

✚ მობილობის მსურველი პირების ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამებთან თავსებადობის დადგენის მიზნით ტარდება გამოცდა/შემოქმედებითი ტური სპეციალობაში. სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტზე შემოქმედებითი ტურების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია - 30 ქულა (0-29 ქულა „ჩაიჭრა“), ხოლო ყველა დანარჩენ სპეციალობაზე - 51 ქულა (0-50 ქულა „ჩაიჭრა“). თეორიული მიმართულებით (აუცილებლობის შემთხვევაში) შესაძლებელია დაინიშნოს გამოცდა სპეციალობის საგანში.

### ❖ შიდა მობილობა

- ბხსუ-ს სტუდენტი (მათ შორის სტატუსშეჩერებული სტუდენტი) უფლებამოსილია სწავლების ძირითად ვადებში შიდა მობილობით შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამა უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება არა აქვს დამატებითი სემესტრის სტუდენტს.
- შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება სტუდენტს ეძლევა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების პირველი სემესტრის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაში პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.
- შიდა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებში სასწავლო პროცესის დაწყებამდე.

✚ ფაკულტეტის/საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის მსურველებმა რეგისტრაციისათვის განსაზღვრულ ვადებში სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტში (ზ.გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ. №19/32, ოთახი №105) უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- განცხადება (განცხადება ივსება ადგილზე);
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- სასწავლო ბარათის ასლი, დამოწმებული ფაკულტეტის დეკანის მიერ;
- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ.